

ამხანაგობა

„გზა“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2022

ამხანაგობა „გზა“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	10-18
1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	14
5. ამონაგები	15
6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	15
7. სხვა შემოსავალი.....	15
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
9. ძირითადი საშუალებები.....	16
10. მარაგი.....	16
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	17
13. სხვა მიმდინარე აქტივები	17
14. საწესდებო კაპიტალი	17
15. სასესხო ვალდებულებები.....	17
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	18
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	18
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

ამხანაგობა „გზა“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ამხანაგობა „გზა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავჯდომარე

2022 წლის 23 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ამხანაგობა „გზა“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ ამხანაგობა „გზა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ამხანაგობა „გზა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ამხანაგობა „გზა“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ამხანაგობა „გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ამხანაგობა „გზა“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება

გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასეების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტებული საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ამხანაგობა „გზა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ამხანაგობა „გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ამხანაგობა „გზა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ამხანაგობა „გზა“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

23 სექტემბერი 2022 წელი

ამხანაგობა „გზა“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	6,482,544	1,306,402
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(8,838,674)	(169,357)
საერთო მოგება		(2,356,130)	1,137,045
სხვა შემოსავალი	7	168,338	3,726
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(216,296)	(64,506)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(2,404,088)	1,076,265
საპროცენტო ხარჯი	15	(5,665)	-
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		57,034	(40,966)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(2,352,719)	1,035,299
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		(2,352,719)	1,035,299

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	122,085	45,123
სულ გრძელვადიანი აქტივები		122,085	45,123
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	1,011,067	70,742
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,008,941	832,767
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	83,609	3,475,924
სხვა მიმდინარე აქტივები	13	84,466	598,100
სულ მიმდინარე აქტივები		2,188,083	4,977,534
სულ აქტივები:		2,310,168	5,022,657
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	45	45
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		(1,317,420)	1,035,299
სულ საკუთარი კაპიტალი		(1,317,375)	1,035,344
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,326,704	3,942,746
სასესხო ვალდებულებები	15	74,232	-
თანამშრომელთა ვალდებულებები		226,608	44,566
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,627,543	3,987,313
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,310,168	5,022,657

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2019 წაშთი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	45.00		45
დივიდენდის განაწილება			-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1,035,299	1,035,299
31.12.2020 წაშთი	45	1,035,299	1,035,344
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-		-
დივიდენდის განაწილება	-		-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(2,352,719)	(2,352,719)
31.12.2021 წაშთი	45	(1,317,420)	(1,317,375)

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
 ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
 ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,567,342	5,379,412
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(6,762,330)	(929,056)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(2,062,826)	(61,095)
გადახდილი გადასახადები	(176,466)	(833,898)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,434,279)	3,555,362
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(95,550)	(38,472)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(95,550)	(38,472)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	100,000	-
გადახდილი სესხები	(31,433)	-
საკურსო სხვაობა	68,947	(40,966)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	137,513	(40,966)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(3,392,315)	3,475,924
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	3,475,924	-
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	83,609	3,475,924

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
 ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
 ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ამხანაგობა გზა რეგისტრირებულია 2020 წლის 13 ოქტომბერს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 205417217. იურიდიული მისამართია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი / სააკაძის დაღმართი N6, ნენ სართული, ოფისი : ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის გორის მინიციპალიტეტი, სოფ.

შინდისი, ზედა-რუს შიდა სარწყავი ქსელის მშენებლობა.

საწარმოს დამფუძნებლები და წილის მფლობელებია 31 დეკემბერი 2021 წელი და 31 დეკემბერი 2020 წელი

შპს გზა 34%

შპს ალგეთი 33%

შპს ლ და კ 33%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების მშენებლობა; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის 01 იანვრიდან დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდამა

ხელმძღვანელობის სახელით:

მაღაზი დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა დანადგარები 5-8 წელი

ავეჯი და სამშენებლო ელექტრო ინტრუმენტები 5-8 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 8-10 წელი

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ ხელმძღვანელობის სახელით:

მაღაზი დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიანი გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შედავითიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბრის, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედგომრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

5. ამონაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი მომსახურებიდან	6,482,544	1,306,402
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	6,482,544	1,306,402

6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალების ხარჯი	3,142,996	768
შრომის ანაზღაურება	2,748,141	131,598
სპეცტექნიკის მომსახურების ხარჯი	1,099,493	16,835
სპეცტექნიკის და სხვა მოწყობილობების იჯარის ხარჯი	840,471	8,789
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	805,051	5,578
ქვეკონტრაქტორების მიერ მომსახურების გაწევა	87,347	-
ლაბორატორიული და გეოდეზიური მომსახურების ხარჯები	59,120	-
პროექტის ხარჯი	20,250	4,367
სხვა	19,760	869
ცვეთა	16,045	552
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	8,838,674	169,357

7. სხვა შემოსავალი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა	168,083	3,726
სხვა შემოსავალი	255	-
სხვა შემოსავალი	168,338	3,726

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გარანტიის საკომისიო ხარჯი	191,253	34,388
საბანკო ხარჯი	7,233	96
საოფისე ხარჯი	6,872	2,786
მიმდინარე საქსპლუტაციო ხარჯები	5,885	-
აუდიტის მომსახურების ხარჯი	3,000	-
მივლინება	994	320
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	848	51
საკანცელარიო ხარჯი	190	51
მომსახურების სააგენტოს ხარჯი	21	-
დაზღვევის ხარჯი	-	26,813
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	216,296	64,506

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
 ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
 ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
შემოსვლა	7,203	14,709	22,703	1,059	45,675
გასვლა					-
დეკემბერი 31, 2020	7,203	14,709	22,703	1,059	45,675
შემოსვლა	11,864	81,221	2,040	424	95,550
გასვლა		(2,542)			(2,542)
დეკემბერი 31, 2021	19,068	93,388	24,744	1,483	138,683
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
მიმდინარე წლის ცვეთა	(24)	(186)	(327)	(16)	(552)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე					-
დეკემბერი 31, 2020	(24)	(186)	(327)	(16)	(552)
მიმდინარე წლის ცვეთა	(2,110)	(8,748)	(4,922)	(265)	(16,045)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე					-
დეკემბერი 31, 2021	(2,134)	(8,934)	(5,249)	(281)	(16,597)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2020	7,180	14,523	22,377	1,044	45,123
დეკემბერი 31, 2021	16,934	84,454	19,495	1,202	122,085

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

10. მარაგი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები.	943,223	70,742.44
მზა პროდუქცია	67,844	-
ჯამი	1,011,067	70,742
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	3,142,996	768

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	463,208	77,078
გაუფასურების ზარალის თანხა	-	-
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	463,208	77,078
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	5,000	-
სხვა მხარეებისაგან მისაღები	458,208	77,078
წინასწარი გადახდები	545,733	755,690
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,008,941	832,767

წინასწარ გადახდები მოიცავს დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილ თანხებს 465,717 ლარს (2020 წელს 632,553) შენიშვნა # 18 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	8,730	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	74,879	31,004
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	3,444,920
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	83,609	3,475,924

13. სხვა მიმდინარე აქტივები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი გადასახადები	84,466	598,100
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები	84,466	598,100

14. საწესდებო კაპიტალი

	2021 წლის 31 დეკემბერი
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	45
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	
შევსებული კაპიტალის ოდენობა	45
სულ საწესდებო კაპიტალი	45

15. სასესხო ვალდებულებები

სესხის ნომერი	ვადა	ვალუტა	წლიური პროცენტი	ნაშთი 31.12.2021 ვალუტა	ნაშთი 31.12.2021 ეკვივალენტი
16.07.2021	მოკლევადიანი	GEL	10%	-	34,283
19.07.2021	მოკლევადიანი	GEL	10%	-	34,283
გადასახდელი პროცენტები				ვალუტა	ნაშთი 31.12.2021
				GEL	5,665
სულ გადასახდელი პროცენტები					5,665

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი	5,665	-
ჯამი	5,665	-

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

სესხი მიღებულია დაკავშირებული კომპანიებიდან (შენიშვნა 18) ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან. სესხი და მასზედ დარიცხული პროცენტები დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,094,639	23,267
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი	848,548	-
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	246,091	23,267
წინასწარ მიღებული თანხები	2,225,560	3,919,480
საგარანტიო ანარიცხები	6,505	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,326,704	3,942,746

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო დაკავშირებული კომპანიები, რომლებიც ფლობენ წილებს კომპანიაში, ასევე კომპანიებს, რომლებშიც უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	2021	2020
საქონლის გაყიდვა/მომსახურების გაწევა	24,774	-
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2021	2,020
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	5,000	-
წინასწარ გადახდები დაკავშირებულ მხარეებზე	2021	2,020
წინასწარ გადახდები დაკავშირებულ მხარეებზე	82,995	665,563
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2021	2,020
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	465,717	632,553
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან	2021	2,020
საქონლის ყიდვა/მომსახურების მიღება სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	2,129,636	47,910
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებიდან	2021	2,020
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	848,548	-
მიღებული სესხები დაკავშირებულ მხარეებიდან	2021	2,020
მიღებული სესხები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	100,000	-
სასესხო ვალდებულებები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2021	2,020
სასესხო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	68,567	-

ხელმძღვანელობის სახელით:

მაღლაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები

უმაღლესი პირების ანაზღაურება

120,000

21,180

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 23 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავჯდომარე

ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ამხანაგობა

„ გზა“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2022

ამხანაგობა „გზა“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	10-18

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.....	14
5. ამონაგები.....	15
6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	15
7. სხვა შემოსავალი	15
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
9. ძირითადი საშუალებები.....	16
10. მარაგი	16
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	17
13. სხვა მიმდინარე აქტივები	17
14. საწესდებო კაპიტალი	17
15. სასესხო ვალდებულებები.....	17
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	18
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	19

ამხანაგობა „გზა“


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ამხანაგობა „გზა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობის სახელით:



მალხაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავჯდომარე



2022 წლის 23 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ამხანაგობა „გზა“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ ამხანაგობა „გზა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ამხანაგობა „გზა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტის წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ამხანაგობა „გზა“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსის) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ამხანაგობა „გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ამხანაგობა „გზა“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება

გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასეების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ამხანაგობა „გზა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ამხანაგობა „გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ამხანაგობა „გზა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ამხანაგობა „გზა“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

23 სექტემბერი 2022 წელი




ამხანაგობა „გზა“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	6,482,544	1,306,402
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(8,838,674)	(169,357)
საერთო მოგება		(2,356,130)	1,137,045
სხვა შემოსავალი	7	168,338	3,726
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(216,296)	(64,506)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(2,404,088)	1,076,265
საპროცენტო ხარჯი	15	(5,665)	-
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		57,034	(40,966)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(2,352,719)	1,035,299
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		(2,352,719)	1,035,299

ხელმძღვანელობის სახელით:

მაღაზი დუმბაძე


ამხანაგობის თავჯდომარე



2022 წლის 23 სექტემბერი

ბათუმი, ხაქართველი



 ბესიკ დავითაძე
მ. ბუღალტერი

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ამხანაგობა „გზა“
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	122,085	45,123
სულ გრძელვადიანი აქტივები		122,085	45,123
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	1,011,067	70,742
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,008,941	832,767
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	83,609	3,475,924
სხვა მიმდინარე აქტივები	13	84,466	598,100
სულ მიმდინარე აქტივები		2,188,083	4,977,534
სულ აქტივები:		2,310,168	5,022,657
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	45	45
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		(1,317,420)	1,035,299
სულ საკუთარი კაპიტალი		(1,317,375)	1,035,344
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,326,704	3,942,746
სასესხო ვალდებულებები	15	74,232	-
თანამშრომელთა ვალდებულებები		226,608	44,566
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,627,543	3,987,313
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,310,168	5,022,657

ხელმძღვანელობის სახელით:

მაღაზი დუმბაძე
ამხანაგობის თავმჯდომარე
2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
მთავრობის მდივანი

ამხანაგობა „გზა“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2019 წაშთი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	45.00		45
დივიდენდის განაწილება			-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1,035,299	1,035,299
31.12.2020 წაშთი	45	1,035,299	1,035,344
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-		-
დივიდენდის განაწილება	-		-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(2,352,719)	(2,352,719)
31.12.2021 წაშთი	45	(1,317,420)	(1,317,375)

ხელმძღვანელობის სახელით:

მაღალაზ დუმბაძე
 ამხანაგობის თავჯდომარე
 2022 წლის 23 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
 მთ. ბუღალტერი

ამხანაგობა „გზა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,567,342	5,379,412
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(6,762,330)	(929,056)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(2,062,826)	(61,095)
გადახდილი გადასახადები	(176,466)	(833,898)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,434,279)	3,555,362
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(95,550)	(38,472)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(95,550)	(38,472)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	100,000	-
გადახდილი სესხები	(31,433)	-
საკურსო სხვაობა	68,947	(40,966)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	137,513	(40,966)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(3,392,315)	3,475,924
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	3,475,924	-
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	83,609	3,475,924

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავჯდომარე

2022 წლის 23 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
მთ. ხელმძღვანელი

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ამხანაგობა გზა რეგისტრირებულია 2020 წლის 13 ოქტომბერს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 205417217. იურიდიული მისამართია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი / სააკაძის დაღმართი N6, ნე6 სართული, ოფისი : ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის გორის მინიციპალიტეტი, სოფ.

შინდისი, ზედა-რუს შიდა სარწყავი ქსელის მშენებლობა.

საწარმოს დამფუძნებლები და წილის მფლობელებია 31 დეკემბერი 2021 წელი და 31 დეკემბერი 2020 წელი

შპს გზა 34%

შპს ალგეთი 33%

შპს ლ და კ 33%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების მშენებლობა; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის 01 იანვრიდან დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პოზიციის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავჯდომარე

2022 წლის 23 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

მაღალხაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავჯდომარე

2022 წლის 23 ხექტემბერი

ბათუმი, საქართველო



შეიკრებილია
ბუღალტერი

ამხანაგობა „გზა“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა დანადგარები	5-8 წელი
ავეჯი და სამშენებლო ელექტრო ინტრუმენტები	5-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8-10 წელი

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის დირექტორი

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
მფლობელის
პირადი ხელმოწერა

მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

13

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში „გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა“ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

2015 წლის 7 დეკემბრის, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე. მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარწმინდილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავჯდომარე

2022 წლის 23 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

ამხანაგობა „გზა“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
5. ამონაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი მომსახურებიდან	6,482,544	1,306,402
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	6,482,544	1,306,402

6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალების ხარჯი	3,142,996	768
შრომის ანაზღაურება	2,748,141	131,598
სპეცტექნიკის მომსახურების ხარჯი	1,099,493	16,835
სპეცტექნიკის და სხვა მოწყობილობების იჯარის ხარჯი	840,471	8,789
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	805,051	5,578
ქვეკონტრაქტორების მიერ მომსახურების გაწევა	87,347	-
ლაბორატორიული და გეოდეზიური მომსახურების ხარჯები	59,120	-
პროექტის ხარჯი	20,250	4,367
სხვა	19,760	869
ცვტა	16,045	552
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	8,838,674	169,357

7. სხვა შემოსავალი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა	168,083	3,726
სხვა შემოსავალი	255	-
სხვა შემოსავალი	168,338	3,726

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გარანტიის საკომისიო ხარჯი	191,253	34,388
საბანკო ხარჯი	7,233	96
საოფისე ხარჯი	6,872	2,786
მიმდინარე საქსპლუტაციო ხარჯები	5,885	-
აუდიტის მომსახურების ხარჯი	3,000	-
მივლინება	994	320
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	848	51
საკანცელარიო ხარჯი	190	51
მომსახურების სააგენტოს ხარჯი	21	-
დაზღვევის ხარჯი	-	26,813
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	216,296	64,506

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავმჯდომარე
2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
მფლობელი

ამხანაგობა „გზა“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
შემოსვლა	7,203	14,709	22,703	1,059	45,675
გასვლა					-
დეკემბერი 31, 2020	7,203	14,709	22,703	1,059	45,675
შემოსვლა	11,864	81,221	2,040	424	95,550
გასვლა		(2,542)			(2,542)
დეკემბერი 31, 2021	19,068	93,388	24,744	1,483	138,683
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
მიმდინარე წლის ცვეთა	(24)	(186)	(327)	(16)	(552)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე					-
დეკემბერი 31, 2020	(24)	(186)	(327)	(16)	(552)
მიმდინარე წლის ცვეთა	(2,110)	(8,748)	(4,922)	(265)	(16,045)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე					-
დეკემბერი 31, 2021	(2,134)	(8,934)	(5,249)	(281)	(16,597)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2020	7,180	14,523	22,377	1,044	45,123
დეკემბერი 31, 2021	16,934	84,454	19,495	1,202	122,085

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

10. მარაგი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები.	943,223	70,742.44
მზა პროდუქცია	67,844	-
ჯამი	1,011,067	70,742
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	3,142,996	768

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
ამხანაგობის თავმჯდომარე
2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
ზედალტერი

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	463,208	77,078
გაუფასურების ზარალის თანხა	-	-
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	463,208	77,078
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	5,000	-
სხვა მხარეებისაგან მისაღები	458,208	77,078
წინასწარი გადახდები	545,733	755,690
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,008,941	832,767

წინასწარ გადახდები მოიცავს დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილ თანხებს 465,717 ლარს (2020 წელს 632,553) შენიშვნა # 18 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	8,730	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	74,879	31,004
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	3,444,920
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	83,609	3,475,924

13. სხვა მიმდინარე აქტივები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი გადასახადები	84,466	598,100
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები	84,466	598,100

14. საწესდებო კაპიტალი

	2021 წლის 31 დეკემბერი
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	45
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	45
შეცვლილი კაპიტალის ოდენობა	45
სულ საწესდებო კაპიტალი	45

15. სასესხო ვალდებულებები

სესხის ნომერი	ვადა	ვალუტა	წლიური პროცენტი	ნაშთი 31.12.2021 ვალუტა	ნაშთი 31.12.2021 ეკვივალენტი
16.07.2021	მოკლევადიანი	GEL	10%	-	34,283
19.07.2021	მოკლევადიანი	GEL	10%	-	34,283
გადასახდელი პროცენტები				ვალუტა GEL	ნაშთი 31.12.2021 5,665
სულ გადასახდელი პროცენტები					5,665

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი	5,665	-
ჯამი	5,665	-

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავმჯდომარე

2022 წლის 23 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო



მალხაზ დუმბაძე
ბუღალტერი

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

სესხი მიღებულია დაკავშირებული კომპანიებიდან (შენიშვნა 18) ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან. სესხი და მასზედ დარიცხული პროცენტები დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,094,639	23,267
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი	848,548	-
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	246,091	23,267
წინასწარ მიღებული თანხები	2,225,560	3,919,480
საგარანტიო ანარიცხები	6,505	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,326,704	3,942,746

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო დაკავშირებული კომპანიები, რომლებიც ფლობენ წილებს კომპანიაში, ასევე კომპანიებს, რომლებშიც უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	2021	2020
საქონლის გაყიდვა/მომსახურების გაწევა	24,774	-
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2021	2,020
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	5,000	-
წინასწარ გადახდები დაკავშირებულ მხარეებზე	2021	2,020
წინასწარ გადახდები დაკავშირებულ მხარეებზე	82,995	665,563
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2021	2,020
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	465,717	632,553
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან	2021	2,020
საქონლის ყიდვა/მომსახურების მიღება სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	2,129,636	47,910
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებიდან	2021	2,020
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	848,548	-
მიღებული სესხები დაკავშირებულ მხარეებიდან	2021	2,020
მიღებული სესხები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	100,000	-
სასესხო ვალდებულებები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2021	2,020
სასესხო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	68,567	-

ხელმძღვანელობის სახელით:

მალბაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავმჯდომარე

2022 წლის 23 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



ბესიკ დავითაძე
ბუღალტერი

ამხანაგობა „გზა“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები

უმაღლესი პირების ანაზღაურება

120,000

21,180

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური

ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 23 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე

ამხანაგობის თავმჯდომარე

2022 წლის 23 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო



მალხაზ დუმბაძე
ხელმოწერა

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.